



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დენარი

დენარი, (ლათ. denarius – ათნაწილიანი), ვერცხლის მონეტა, რომაული სამონეტო სისტემის ძირითადი ნომინალი.

ემისია დაიწყო ძვ. წ. 269. ადრეულ ხანაში შუბლზე უმთავრესად გამოსახული იყო სხვადასხვა ღვთაება, შემდგომ კი – იმპერატორის ან დედოფლის დაფნისგვირგვინიანი პროფილი; ზურგზე – სხვადასხვა მითოლ. სცენა, სიუჟეტი რომის იმპერიის ცხოვრებიდან და სხვ. თავდაპირველი მასა – 4,55 გ. დროთა განმავლობაში ჩატარებული რეფორმების შედეგად დ-ის მასა და სინჯი თანდათან შემცირდა. II ს. ბოლოს კი დ-ის შემადგენლობაში 50% სპილენძი იყო.

დ-ის დანაყოფებია კვინარიუსი (2,275 გ) და სესტერციუსი (1,137 გ). III ს-ში იმპ. კარაკალამ ახ. სამონეტო რეფორმა ჩაატარა და დ-ის ნაცვლად მოჭრა ანტონინიანი. საქართველოში რომის რესპუბლიკის დროინდელი დ. მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი (თბილისი, აბისი, კავთისხევი, ნაზოდელავო და სხვ.). I-II სს-ში მოჭრილი დ. კი წამყვან როლს თამაშობდა საქართვ. ეკონ. ცხოვრებაში და ამიტომაც უხვადაა აღმოჩენილი მცხეთაში, ზღუდერში, სეფიეთში, ეკში და სხვ.

ლიტ.: კ ა პ ა ნ ა ძ ე დ., მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1937–1951 წწ. ნუმისმატიკური მონაპოვარი, «მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის», 1955, ტ. 1; З о г р а ф А. Н., Античные монеты, «Материалы и исследования по археологии СССР», 1951, в. 16; К а з а м а н о в а Л. Н., Введение в античную нумизматику, М., 1969.

